სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/119

ქ. თბილისი

14 სექტემბერი 2022 წ.

სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსის 30 აგვისტოს №965205 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის №01-05-02/25 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საათობრივი ანაზღაურება განესაზღვროს თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**